პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 სექტემბერი, კვირა, 1988 წ.
185 (9852) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

XXIV ოლიმპიური თამაშები სეული, 1988 წელი

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე სეულიდან გვატყობინებს:

აპლოდისმენტები... დამარცხებულს

ეს ის შემთხვევა გახლდათ, როცა გამარჯვებულზე მეტად ტაში დამარცხებულმა დაიმსახურა. ლეილა მესხმა, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ წაგო შეხვედრა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთან, დასავლეთგერმანელ შტეფი გრაფთან. იღებდა მილოცვებს პირველ პარტიაში ბრწყინვალე და ღირსეული თამაშისათვის. ქართველმა ჩოგბურთელმა ის პარტია დათმო, მაგრამ უაღრესად მძაფრ და დაძაბულ ბრძოლაში — 5:7.

მატჩის შემდეგ მესხმა განაცხადა:

— დასაკარგი ამ შეხვედრაში არაფერი მქონდა, ამიტომ თავიდანვე შევუდექი იმ გეგმის განხორციელებას, რომელიც მწვრთნელთან ერთად შევიმუშავე. მთავარი ამოცანა იყო „ცვალებადი რიტმით“ თამაში, რათა მეტოქე შეძლებისდაგვარად წონასწორობიდან გამომეყვანა. სანამ მეყო ძალა ეს გეგმა შევასრულე. კმაყოფილი ვარ თამაშის ხარისხითაც და შედეგითაც. სხვათა შორის, მწვრთნელმაც ასე შეაფასა ჩემი გამოსვლა.

ამ შეხვედრის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ჩოგბურთელები და მწვრთნელები მეზობელ კორტზე გადავიდნენ, სადაც ლარისა სავჩენკო და ინგლისელი სარა გომერი იწყებდნენ თამაშს. ბრძოლა ერთობ დაძაბული გამოდგა. ორჯერ „ტაი-ბრეიკიც“ კი დაინიშნა. ერთი მათგანი სავჩენკომ მოიგო, მეორე გომერმა. გადამწყვეტი სეტი და მასთან ერთად პარტია ლარისა სავჩენკოს გამარჯვებით დამთავრდა — 7:9. შეხვედრა სამ საათს გრძელდებოდა.

არც ნატალია ზვერევას პირველი ნაბიჯი იყო იოლი. ავსტრალიელმა ენ მინტერმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდა — 4:6, 6:3, 1:6.

ვაჟთა ტურნირის ერთ-ერთ სენსაციად უნდა მივიჩნიოთ ფრანგი ჩოგბურთელის ანრი ლეკონტის მარცხი სამხრეთკორეელ კიმ ჯონგთან. ლეკონტი გამოეთიშა შეჯიბრებას.

ჯერ ჯონსონი, მერე ლიუისი

მსოფლიო ჩემპიონმა და რეკორდსმენმა 100 მეტრზე რბენაში კანადელმა ბენ ჯონსონმა ოლიმპიური ასპარეზობა რაღაც უფერულად დაიწყო. წინასწარ შეჯიბრებაში მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა და დამატებით ნახევარფინალურ ოთხეულში მხოლოდ უკეთესი დროის წყალობით გავიდა.

სამაგიეროდ მისმა მთავარმა კონკურენტმა, ამერიკელმა კარლ ლიუისმა წინასწარ გარბენში დღის საუკეთესო შედეგი აჩვენა — 9,99.

ჯონსონი და ლიუისი ოლიმპიური სტარტებისთვის მთელი წლის მანძილზე ემზადებოდნენ. მაგრამ ჯონსონისთვის ეს სამზადისი უფრო უიღბლო გამოდგა. ერთ-ერთ შეჯიბრებაში ფეხი დაიზიანა და ვარჯიში კარგა ხნით შეწყვიტა. ამასობაში კარლ ლიუისი სტარტს სტარტზე იგებდა და ოლიმპიური ტურნირის დაწყებას ჩვეულ ფორმაში შეხვდა. სეულში გამგზავრების წინ ჯონსონმაც განაცხადა — თავს კარგად ვგრძნობ და ლიუისთან შეხვედრისთვის მზად ვარო.

კანადელი მართალი გამოდგა. შეხვედ[illegible] ორ ფავორიტს შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, 100 მეტრზე რბენის ფინალში მოხდა და ბ[illegible] ჯონსონის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა — 9,79. ეს შ[illegible]ეგი მსოფლიოს ახალი დ[illegible] თამაშ[illegible]ი შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი [illegible]ანტასტიკური რეკორდი. ლიუ[illegible] დრო ამჯერად მხოლოდ მეორ[illegible] იყო — 9,92. 10 წამზე უკეთესი [illegible] შედეგი კიდევ ორმა სპრინტერმა აჩვენა — ინგლისელმა [illegible]ორდ კრისტიმ — 9,97 და ამე[illegible] კელვინ სმითმა — 9,99.

[illegible] ფინალისტთა შედეგები ასეთია: [illegible] დენის მიტჩელი (აშშ) — 10,04, 6-[illegible] რობსონ სილვა (ბრაზილია) და დეზაი უილიამსი (კანადა) — 10,11 (თითოეულს), 8. [illegible]ომონდ სტიუარტი (იამაიკა) — 10,26.

მძლეოსანთა შეჯიბრების პირველი დღე ჩვენი სპორტსმენებისთვის უიღბლო იყო. ნაკრების მთავარი მწვრთნელის იგორ ტერ-ოვანესიანის განცხადებით მედლების მიღება დაგეგმილი ჰქონდათ 20 კილომეტრზე სიარულში შჩენნიკოვს (დაიკავა მეექვსე ადგილი), აგრ[illegible]ვე ქალთა მარათონული რბენის ერთ-ერთ მონაწილეს, მაგრამ იმედები ვერც ერთმა ვერ გაამართლა.

იხ. მე-3 გვ.

მსოფლიო ფაქტები

მრგვალ სტენდზე სროლაში შეჯიბრება წარუმატებლად დამთავრდა საბჭოთა მესტენდურეებისთვის, რომელთაგან ვერც ერთი ვერ მოხვდა ფინალში. უიღბლოთა შორის ტუუილად დაუწყებთ ძებნას სპორტის დამსახურებულ ოსტატს თამაზ ომნაიშვილს, ჩვენი გუნდის მწვრთნელებმა იგი ცეცხლის ხაზზე არ გამოიყვანეს. რატომღაც ჩათვალეს, რომ მას შანსი არ ჰქონდა ებრძოლა ოლიმპიადის ჯილდოებისთვის. ყოველად გაუგებარი პოზიციაა!

დღეს ჩაებმება ბრძოლაში ძიუდოისტი ამირან ტოტიკაშვილი (60 კგ). როგორც საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ანზორ ჭაბრიშვილმა მითხრა, ამირანს, ისევე როგორც გია თენაძეს, პირველ წრეში ძალიან ძლიერი მეტოქეები ხვდებიან და ეს ბრძოლები მათთვის ერთგვარად ფინალის ტოლფასიაო.

გუშინ საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარე მარატ გრამოვი საბჭოთა ჟურნალისტებს შეხვდა. იგი საქმიან ხასიათს ატარებდა.

საბჭოთა დელეგაცია დიდი პოპულარობით სარგებლობს სეულში. ოლიმპიადის მასპინძლები გულღიად და თბილად ხვდებიან ჩვენს სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს. ამ ფოტოებზეც ეს გულთბილი შეხვედრებია აღბეჭდილი: ჩოგბურთელების მწვრთნელი ოლგა მოროზოვა და საბჭოთა ნიჩბოსნები ოლიმპიადის მასპინძელთა გარემოცვაში:

საკდეს-საქინფორმის ფოტოები.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲘᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲜᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ



გადადებული კვლავ გადაიდო

როგორც ვიუწყებოდით, მეორე პარტია 41-ე სვლაზე ასეთ პოზიციაში გადაიდო.

ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ



ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

სპეციალისტების აზრით, ჩიბურდანიძეს უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, თუმცა იოსელიანს პაიკი ჰყავდა ზედმეტი და ინარჩუნებდა ყაიმის შანსებს. ამ პარტიის განახლებისას ჩიბურდანიძემ შეძლო არა მარტო პაიკი დაებრუნებინა, არამედ თავად ორი პაიკი მოიგო. მიუხედავად ამისა, იგი მეტოქის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ პარტია 90-ე სვლაზე კვლავ გადაიდო.

41. ...ეc7 (ჩაწერილი სვლა). 42. მa4 ეc4 43. მb6 ე:c2 44. ე:c2 ე:b4 45. მფe2 ეb5 46. მფd3 კg7 47. ეe2 მფf7 48. მფe4 ეb2 49. მფd3 ეb1 50. მc4 ეd1+ 51. მფc2 ე:d5 52. ეe4 კe5 53. მ:e5+ de 54. მფ:c3 ე:a5 55. g3 fg 56. fg ეa3+ 57. მფd2 ე:g3 58. h4 ეh3 59. ეa4 h5 60. მფe2 მფf6 61. ე:a6+ მფf5 62. ეa4 ეg3 63. ეa1 ეg4 64. ეh1 მფf4 65. ეf1+ მფe4 66. ეa1 მფf5 67. ეh1 ეf4 68. მფd3 ეf3+ 69. მფd2 მფf4 70. მფe2 მფg4 71. მფd2 ეh3 72. ეe1 მფf5 73. ეb1 მფe4 74. ეa1 ეh2+ 75. მფc3 მფf5 76. ეa4 ეf2 77. ეa8 მფg4 78. მფd3 მფ:h4 79. მფe4 ეe2+ 80. მფf3 ეe1 81. ეe8 ეf1+ 82. მფe4 მფh3 83. ეh8 ეe1+ 84. მფf3 მფh4 85. ეe8 მფg5 86. ეg8+ მფf6 87. ეf8+ მფg7 88. ეe8 ეf1+ 89. მფe4 h4.

პარტია კვლავ გადაიდო. სვლა ჩაიწერა პრეტენდენტმა.

ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ



ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

გუშინ უნდა გამართულიყო მატჩის მესამე პარტია, მაგრამ იგი არ შედგა. თავისი პირველი ტაიმაუტი აიღო ნანა იოსელიანმა.

დავით ᲯᲔᲚᲘᲫᲔ,
ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

მასპინძლები წინ მიიწევენ

თბილისში მიმდინარე წყალბურთელ ქალთა IV საკავშირო პირველობაში, რომელშიც უმაღლესი ლიგის გუნდები (ასეთი გუნდები მხოლოდ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებას ჰყავს) მონაწილეობენ, როგორც ვიუწყებოდით, თბილისის „ივერიამ“ უძლიერეს ოთხეულში მოსკოვის „უნივერსიტეტის“, გორკის „სალიუტისა“ და მოსკოვის სკიფ-ის წარმომადგენლებთან ერთად დაიმკვიდრა ადგილი. ახლა ისინი კვლავ თბილისის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა წყალბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის აუზში წრიული სისტემით ფინალური საგზურის მოსაპოვებლად იბრძვიან.

ამ ეტაპზე მასპინძელთა პირველი მეტოქე სკიფ-ის წყალბურთელები იყვნენ. ერთხანს სარბიელზე თანაბარი ბრძოლა იყო გაჩაღებული, მესამე პერიოდის დასასრულიდან კი მასპინძელთა გამარჯვება თითქმის აღარავის აეჭვებდა და

მათაც მოლოდინი გაამართლეს — 6:4.

უძლიერეს ოთხეულში მებრძოლი მეორე წყვილის შეხვედრაში „სალიუტმა“ სძლია „უნივერსიტეტს“ — 8:4.

მეორე ოთხეულის შეხვედრები ასე დამთავრდა: „მედეო“ (ალმა-ათა) — ხპი (ხარკოვი) 4:5, „ურალოჩკა“ (ზლატოუსტი) — „სტრელა“ (ზაპოროჟიე) 14:6.

ამ გუნდებიდან უმაღლესი ლიგის დატოვების ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე დგანან ალმა-ათისა და ხარკოვის წარმომადგენლები, რომლებსაც ჯერჯერობით შესაბამისად 1 და 3 ქულა აქვთ.

გუშინ შეჯიბრების მონაწილენი ისვენებდნენ, დღეს კი შეხვედრები განახლდება.

გუშინწინ გორის ეკონომიკის ინსტიტუტის საქტო დარბაზში რექტორატმა, პარტბიურომ, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა კომიტეტებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს საბჭოთა კავშირის 1988 წლის უნივერსიადის ჩემპიონებს ჭიდაობა ძიუდოში.

სურათზე: შეხვედრა უნივერსიადის ჩემპიონებთან.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ტექსტი და ფოტო.

ᲐᲮᲐᲚᲘ. ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მტკვრის ნაპირზე, ქვიშაზე დაფყებული ვარჯიშით

40-ᲘᲐᲜ წლებში ქართულ სპორტში ერთ-ერთი გამორჩეული ოსტატი გახლდათ აკრობატი მიხეილ ქელეხსაშვილი. ბატონი მიხეილი ქართული სპორტული აკრობატიკის კარიბჭესთან იდგა, მან თავის პარტნიორებთან — ემელიანოვთან, მაყაშვილთან და ვართანოვთან ერთად საბჭოთა კავშირის პირველ ჩემპიონატში 1939 წელს უძლიერესის წოდება მოიპოვა. ამის შემდეგ იგი კიდევ ხუთჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი.

— აკრობატიკაში ვარჯიში დამოუკიდებლად დავიწყე, გორში, ჩემს მშობლიურ ქალაქში, — იგონებს მიხეილ ქელეხსაშვილი — მამაჩემს ძალიან უყვარდა ცირკი, განსაკუთრებით კი — აკრობატთა გამოსვლა. გორში, ლენინის ქუჩაზე უზურგუნაშვილების ეზოში, ყოველ ზაფხულს იმართებოდა საცირკო წარმოდგენა. ძირითადად მოხეტიალე მსახიობები ჩამოდიოდნენ: მე და მამაჩემი კვირაში ორჯერ მაინც დავდიოდით ამ წარმოდგენებზე. განსაკუთრებით მომწონდა აკრობატული ვარჯიშები. და ... ნამალავად სადგურის მხარეს, მტკვრის ნაპირზე, ქვიშაზე, დავიწყე ცირკში ნანახი ილეთების გამეორება. ვაკეთებდი წინ, უკან და გვერდით ყირამალასა და მალაყებს. ჩემს კბილა ბიჭებს განსაკუთრებით მოსწონდათ, ხიდიდან მტკვარში „ლასტოჩკით“ რომ ვხტებოდი. ცურვა მტკვარზე მჭონდა ნასწავლი და ახალგაზრდობაში ხუთი კაცი გადავარჩინე დახრჩობას. მაშინ სექციები სად იყო, ვინაც როგორ შეგვეძლო, ისე ვ...ებდით სხეულს, გორელი ბიჭები სამთარში თავს ვიყრიდით შპალების ქარხანასთან, სადაც დაჭაობებული წყალი იყინებოდა, ვციგურაობდით. უმეტესობას ხის ციგურები ჰქონდა,- აქა-იქ რკინის-ციგურებიანებიც გამოერეოდნენ ხოლმე. განსაკუთრებით მთიდან ციგით დაშვება გვახარებდა, არცთუ იშვიათად ციგა გადაგვბრუნდებოდა ხოლმე. მაშინ ჩაცმაც გვაკლდა და დახურვაც, მაგრამ უფრო ხალისიანები ვიყავით, გასართობსაც უფრო ადვილად ვპოულობდით. ძმაკაცობა და ერთმანეთის გატანაც მეტი ვიცოდით. მაგრამ თქვენ ალბათ ჩემი სპორტული ბიოგრაფია უფრო გაინტერესებთ. 30-იან წლებში თბილისში ფიზკულტურის ტექნიკუმი გაიხსნა. მამაჩემს შეუჩნდნენ, მიშა თბილისში წაიყვანე, მისგან კარგი სპორტსმენი დადგებაო. აი სწორედ თბილისში სწავლის დროს შევხვდი ქართული სპორტის ფუძემდებელს გიორგი ეგნატაშვილს, სპორტული ტანვარჯიში და აკრობატიკა მაშინ თითქმის განუყოფელი იყო. ბატონმა გიორგიმ მიარჩია, აკრობატიკის სექციისთვის შემერჩია ახალგაზრდები — ის ილეთები ასწავლე, რაც შენ იციო. ასე შეიქმნა საქართველოში აკრობატიკის პირველი სექცია. ძალიან ბევრი მსურველი გამოჩნდა — დავიწყეთ ვარჯიში. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ რაიმე სპეციალიზაცია არ გვქონია, ვვარჯიშობდით ტანვარჯიშშიც, სიმძიმეების აწევაშიც, წყალში ხტომაშიც, მძლეოსნობაშიც, ბირთვის კვრაში ჩემი პირადი რეკორდი 13 მეტრი და 75 სანტიმეტრი იყო. შეიძლება ამ შედეგმა დღეს ღიმილიც გამოიწვიოს, მაგრამ მაშინ საქართველოში მეორე ვიყავი. ასევე მეორე ადგილს ვიკავებდი ქართულ ჭიდაობაში. სპორტში მეცადინეობის პარალელურად ტექნიკუმის სასულე ორკესტრშიც ვუკრავდი.

ყველაზე ნათლად თქვენი სპორტული ბიოგრაფიიდან რა დაგახსომდათ?

— ერთის გამორჩევა გამიჭირდება. ჩემთვის მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდების მოპოვებაც და ომის დროს საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო ჰოსპიტლებში ჩვენი აკრობატული ბრიგადის საჩვენებელი გამოსვლებიც. ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: ომი იყო, მგონი, 1942 წელი, ამხანაგები შემომიჩნდნენ, აბა, სანაძლეოზე ჩელიუსკინელების ხიდის მოჯირზე ყირას თუ გაჭიმავო. უკან დახევა არაფრით არ შეიძლებოდა. სანაძლეო მოვიგე.

მიხეილ ქელეხსაშვილი ქართული აკრობატიკის ცოცხალი მატიანეა. მართლაც ძნელია, ძნელი კი არა, შეუძლებელია, მისი ღვაწლისა და სპორტული ცხოვრების ერთ საგაზეთო წერილში მოქცევა. შევეცდებით შეძლებისდაგვარად მოკლედ შევეხოთ მისი ბიოგრაფიის კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს. ის უკვე ვთქვით, რომ მიხეილ ქელეხსაშვილმა თავის მეგობრებთან ერთად ექვსჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. ეს რეკორდი დღემდე მიუწვდომელია ჩვენი რესპუბლიკის აკრობატებისთვის. 1949-1978 წლებში იგი საქართველოს აკრობატთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი იყო. მის ხელში წრთობა გაიარა ათეულობით სპორტსმენმა. მათ შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, პრიზიორები, საკავშირო თასის მფლობელები. 1948 წელს მისი მომზადებული ოთხეული (ი. მახაშვილი, გ. გაოსევანიშვილი, ვ. კაჭერგინი და ე. ყურაველიოვი) და შერეული წყვილი (ი. მახაშვილი და ზ. იაკუბა) საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ. ამავე წლებში მიხეილ ქელეხსაშვილმა დნეპროპეტროვსკში მოამზადა ოთხეული, რომელმაც ორჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა. საბჭოთა კავშირში უძლიერესის სახელი დაიმსახურა მიხეილის კიდევ რამდენიმე აღზრდილმა — თენგიზ ლომთაძემ, ალექსანდრე თედეევმა, ანატოლი სლივკოვმა და სლავა დელიბაზოვმა. გარდა სპორტსმენებისა, მიხეილ ქელეხსაშვილმა მოამზადა მწვრთნელთა მთელი პლეადა: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ოთარ კაკიაშვილი, გურამ მარგიშვილი, ვლადიმერ ალთუნაშვილი, თენგიზ ხუდოევი, ანატოლი სლივკოვი, ჯუმბერ ლაშხი.

მის ხელში გაიზარდა 58 სპორტის ოსტატი. სწორედ ამ დამსახურებისთვის მიხეილ ქელეხსაშვილს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. ამავე დროს იგი არის საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი. ცალკე უნდა აღვნიშნოთ მიხეილ ქელეხსაშვილის წვლილი საქართველოში ბატუტზე ხტომის დაწინაურების საქმეში. ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის დაწესება ბატონმა მიხელმა დაიწყო, შემდეგ კი მან ეს საქმე თავის ერთ-ერთ ნიჭიერ შეგირდს, სპორტის ოსტატს, აკრობატ თენგიზ ხუდოევს გადააბარა. ასე რომ, ჩვენს ბატუტზე მხტომელთა დღევანდელ წარმატებაში დიდი როლი ითამაშა ოცი წლის წინათ მიხეილ ქელეხსაშვილის ალღოიანმა გადაწყვეტილებებმა.

სპორტში განუხორციელებელი ოცნება თუ დაგრჩათ-მეთქი, კვითხე ერთხელ მიხეილ ქელეხსაშვილს.

— ჩვენს ქვეყანაში — არა. ყველა ჯილდო, რასაც კი ვინატრებდი, მოვიპოვე, არც დაფასება და პატივისცემა დამკლებია. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ ჩემი სპორტული კარიერის დროს არც ევროპის ჩემპიონატები ტარდებოდა, არც მსოფლიოსი. ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენი ოხთეული არც ამ დიდ შეჯიბრებებში შეირცხვენდა თავს.

„შრომითი რეზერვების“ სპორტულ კომპლექსში თითქმის ყოველდღე შეიკვლის ხოლმე ჭარმაგი კაცი. ტრიბუნაზე შეუმჩნეველად დადგება და თვალს ადევნებს აკრობატების ვარჯიშს. ხანდახან თავისდაუნებურად შორეული მოგონებების ბურუსში იძირება და მწვრთნელისა და მათი შეგირდების მოკრძალებულ მისალმებაზე ხელის აწევით უპასუხებს...

70 წელს გადაცილებულ კაცს ცოტა როდი აქვს გასახსენებელი...

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲙᲐᲡᲐᲠᲐᲫᲔ.

სტარტზე — მსოფლიო სოფლის ქალაქი

ᲤᲔᲠᲒᲐᲜᲘᲜᲘ ქალაქ ფერგანაში ჩატარდა მე-14 ტრადიციული საკავშირო სპარტაკიადა სოფლის სპორტსმენ ქალთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს რსფსრ-ის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, უზბეკეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის და ყირგიზეთის გუნდებმა. სულ სპარტაკიადაში 22 გუნდი ჩაება. გუნდები დაკომპლექტებული იყო რესპუბლიკების რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპორტსმენებით.

ჩვენმა გუნდმა სპორტის ხუთ სახეობაში — მშდ მრავალჭიდში, მწველავთა პროფესიაში, შაშში, ჭადრაკსა და ფრენბურთში იასპარეზა და თითქმის ყველა სახეობაში საპრიზო ადგილი მოიპოვა.

მშდ მრავალჭიდში, საქართველოს გუნდმა, რომელიც ქობულეთის რაიონის ოჩამჩირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენი გოგონებისაგან შედგებოდა, III ადგილი დაიკავა (I ადგილი — ტაშკენტის ოლქი, II — რსფსრ).

მწველავთა პროფესიაში საქართველოს გუნდი (ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ორლოვკის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობა) საუკეთესო იყო და I ადგილიც მოიპოვა (II — რსფსრ-ის, III— ფერგანის ოლქი).

პირველობა არ დაუთმეს არავის ჩვენმა მოშაშე გოგონებმაც (სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობა) (II — ტაშკენტის ოლქი, III-ზე ფერგანის ოლქი).

ჭადრაკში საქართველოს გუნდი (წყალტუბოს რაიონის სოფ. გვიშტიფის კოლმეურნეობა) II ადგილს დასჯერდა (I — ტაშკენტის ოლქი, III — აზერბაიჯანის გუნდი). მე-9 ადგილი დაიკავეს ჩვენმა ფრენბურთელმა გოგონებმა (ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა). (I —ფერგანის ოლქი, II — ტაშკენტის ოლქი, III — ტაჯიკეთი).

სპარტაკიადაში ჩართული იყო კულტურული პროგრამაც. მუსიკალურ საღამოებზე გოგონებს უნდა შეესრულებინათ ორი მხატვრული ნომერი. საქართველოს გუნდმა აქაც მე-4 ადგილი დაიკავა. შეჯიბრება მშვენივრად იყო ორგანიზებული, სპარტაკიადამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲜᲘᲙᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
აგრომრეწვის მუშაკთა ფიზიკური აღზრდის განყოფილების გამგე.

ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲐᲓᲘᲡ ᲔᲥᲝ

ქათინაური—დებიუტანტებს

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ჩვენმა მკითხველებმა იციან, შვიდი ქართველი რეგბისტი — ქუთაისელი ნუგზარ ძაგნიძე, თბილისელები — ალეკო ხვედელიძე, ზაზა ბაკურაძე, თამაზ ხუადე, გია გიუნაშვილი (ოთხივე — რკ „ელმავალი“), შავლეგ ჯანელიძე და გიორგი ღვინიაშვილი („შივარდენი“) — საბჭოთა კავშირის სტუდენტთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა საფრანგეთში — პირველ მსოფლიო უნივერსიადაზე. მაგრამ საფრანგეთიდან ცნობები ძუნწად და კანტიკუნტად მოგვდიოდა, ამიტომ მკითხველს „შშრალი“ ტექნიკური შედეგების მეტი ვერა მივაწოდეთ რა. ახლა კი, როცა საბჭოთა რეგბისტები შინ დაბრუნდნენ, ფრანგული პრესის მასალების გაცნობამ და ნაკრების თბილისელ წევრთა მონათხრობმა ამ ასპარეზობის ვრცლად მიმოხილვა შეგვაძლებინა.

საუნივერსიტეტო სპორტის საფრანგეთის ეროვნული ფედერაციის (ფსსუ) ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მიშელ ბონფისი, 1986 წელს ახალ ზელანდიაში დასწრებია სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატს პროფესიულ (ცამეტაციან) რეგბიში. შეჯიბრებას იმდენად მოუხიბლავს ბატონი ბონფისი, რომ მსგავსი შეჯიბრების მოწყობა განუზრახავს სამოყვარულო (თხუთმეტაციან) რეგბიშიც, მითუმეტეს, რომ 1983 წლიდან უკვე ტარდება ხუთი ერის პირველობის ანალოგიური ტურნირი სტუდენტთა შორის. ჩანფიქრის ხორცშესასხმელად ფსსუ-ს ხელმძღვანელობა დაუკავშირდა საფრანგეთის რეგბის ფედერაციას, რეგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ), საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციას (ფისუ) და ერთწლიანი სამზადისის შემდეგ უნივერსიადაში მონაწილეობაზე მსოფლიო რეგბის 12 მოწინავე ქვეყანა დაიყაბულა.

ტურნირი დაიწყო 6 აგვისტოს და დამთავრდა 28 აგვისტოს ქალაქ ბეიონში გამართული ახალი ზელანდია — არგენტინის ფინალური მატჩით. სამხრეთ საფრანგეთის 25 ქალაქში ჩატარებულმა 27 მატჩმა გუნდები სატურნირო ცხრილში საბოლოოდ ასე განალაგა: 1. ახალი ზელანდია, 2. არგენტინა, 3. საფრანგეთი, 4. სსრ კავშირი, 5. ინგლისი, 6. უელსი, 7. შოტლანდია, 8. ფიჯი, 9. იტალია. დაგვეთანხმებით, ესოდენ წარმომადგენლობითი შეჯიბრების დებიუტანტების — საბჭოთა რეგბისტების მიერ დაკავებული მეოთხე ადგილი მოულოდნელიცაა და უდავო წარმატებადაც შეიძლება ჩაითვალოს, მით უფრო, რომ ჩვენმა რეგბისტებმა სამივე ბრიტანული ქვეყნის წარმომადგენლები ჩამოიტოვეს, თანაც მთელი ტურნირის მანძილზე ერთადერთი მარცხი აგემეს ახალზელანდიელთა უძლიერეს გუნდს.

მაინც რამ განაპირობა საბჭოთა რეგბისტების წარმატება? როგორც ფრანგულმა „მიდი ოლიმპიკმა“ აღნიშნა (გამოდის ტულუზაში), საბჭოთა რეგბისტებმა ახალზელანდიელები მათივე იარაღით — ზეაგრესიული, ზესწრაფი, ზეძალისმიერი თამაშით დაჯაბნეს. მიმომხილველებს განსაკუთრებით მოსწონებიათ გუნდის კაპიტანი, „ფილის“ ბურჯი კირპა, ლენინგრადელი შუა სამმეოთხედელი ანდრეევი, მოსკოვის „ლოკომოტივის“ შერკინების ნახევარმცველი პროკლოვი, „ელმავალის“ ფრთის სამმეოთხედელი ხვედელიძე და ქუთაისელი მცველი ძაგნიძე. აღსანიშნავია, რომ ფრანგი მიმომხილველები აშკარად გააოცა ნუგზარ ძაგნიძის გაწაფულობამ ფეხით თამაშში. ყოველკვირეული იმასაც აღნიშნავს, რომ წინათ საბჭოთა რეგბისტები მხოლოდ ფიზიკური მომზადებით გამოირჩეოდნენ, ახლა კი საგრძნობლად დაუხვეწიათ ოსტატობა და თუ ასე გააგრძელეს, მსოფლიო თასის მეორე გათამაშებისათვის (ჩატარდება 1991 წელს დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში) საბჭოთა რეგბის სახით ირბ-ის წევრებს მრისხანე მეტოქე ეყოლებათო.

ასეთი ქათინაურის მოსმენა ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ, ცხადია, ობიექტურობის გრძნობამ არ უნდა გვიღალატოს: ჩვენი გუნდის წარმატება, ოსტატობის ზრდასთან ერთად, გარკვეულწილად, სხვა ფაქტორებმაც განაპირობა. ერთი რომ, მეტოქეებს თითქის არაფერი სმენოდათ საბჭოთა რეგბის შესახებ (ახალზელანდიელები და შოტლანდიელები, მაგალითად, პირველად შეხვდნენ ჩვენს რეგბისტებს) და ძლიერ მეტოქეს რომ გადაეყარნენ, აშკარად დაიბნენ. მეორეც, ფისუ-ს წესების თანახმად, უნივერსიადაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ 28 წლამდე ასაკის სტუდენტ რეგბისტებს. ჩვენმა ფედერაციამ მაქსიმალურად გამოიყენა ეს წესი და ისეთი გუნდი შეადგინა, საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებს რომ არ ჩამოუვარდებოდა. რაც შეეხებათ ინგლისურენოვანი ქვეყნების გუნდებს, ისინი მთლიანად კოლეჯების მოსწავლეებით იყვნენ დაკომპლექტებული და, ბუნებრივია, საუნივერსიტეტო არადაგების დროს ერთ გუნდად შეკრებილი 21 წლის ყმაწვილები (თუნდაც რეგბის ბავშვობიდანვე ნაზიარებნი) ვერ „მოერეოდნენ“ მარათონული საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში გაკაჟებულ, მათზე 5-7 წლით უფროს ვაჟკაცებს. ჩვენი აზრით, საგულისხმოა ისიც, რომ საბჭოთა რეგბისტებმა სძლიეს სამივე ინგლისურენოვან მეტოქეს (ახალ ზელანდიას, ინგლისს, შოტლანდიას), ე. ი. იმ გუნდებს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ თამაშის სანახაობრივ მხარეზე, რომანულენოვანი ქვეყნების რეგბისტებთან კი (იტალისთან, არგენტინასთან, საფრანგეთთან), ვისთვისაც უმთავრესი გამარჯვებაა, ჩვენები დამარცხდნენ.

უეჭველია, უნივერსიადაში მონაწილეობა საბჭოთა რეგბის მსოფლიო ასპარეზზე გასვლის მანიშნებელია. არადა, ბოლო დრომდე ჩვენი რეგბისტები, ფაქტიურად, იზოლირებულნი იყვნენ დანარჩენი სამყაროსაგან: ძლიერი გუნდებიდან მხოლოდ რუმინელებს ხვდებოდნენ; ორჯერ იმოგზაურეს ზიმბაბვეში, წელს კი პირველად ეწვივნენ არგენტინას. ცხადია, ამგვარმა განზე დგომამ დაღი დასვა ჩვენი რეგბისტების სათამაშო სტილს და საორგანიზაციო და საწვრთნელი პროცესების მართვისათვის საჭირო ცოდნის დეფიციტიც წარმოშვა. იქნებ ამიტომაც იყო, უნივერსიადაზე ჩვენი გუნდი 19 მოთამაშის ანაბარა რომ ჩავიდა, მაშინ, როცა მეტოქეებს განაცხადში 26-26 რეგბისტი ჰყავდათ. ჩვენებს მწვრთნელები ყოველდღიურად ორჯერ ორ-ორ საათს ავარჯიშებდნენ, სხვა გუნდები კი წვრთნას დღეში მხოლოდ 45 წუთს უთმობდნენ. ამდენი თამაშითა და წვრთნით გათანგული საბჭოთა რეგბისტები ხშირად შავდებოდნენ და, რადგანაც შემცვლელი არავინ ჰყავდათ, ყოველ მატჩს გუნდის წევრთა თითქმის ნახევარი მოუშუშებელი ტრავმებით ატარებდა. სათადარიგოთა არყოლის გამო, მწვრთნელები იძულებული იყვნენ, მოთამაშეებისთვის ამპლუა შეეცვალათ. ასე მაგალითად, შერკინების ნახევარმცველი ჯანელიძე მთელი შეჯიბრების მანძილზე ფრთის სამმეოთხედელად თამაშობდა. ამიტომაც უფროა გასაკვირი, რომ ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ედუარდ კობოზევმა რატომღაც საჭიროდ არ ჩათვალა თუნდაც ერთხელ გამოეყვანა მოედანზე გუნდის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე, მესამე ხაზის მორკინალი გია გიუნაშვილი.

დასასრულ, შევნიშნავთ, რომ უნივერსიადაში მონაწილეობა აშკარად გამოადგათ ჩვენს რეგბისტებს. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ საფრანგეთიდან კლუბებში დაბრუნების შემდეგ სტუდენტური ნაკრების წევრთა თამაშში სასიკეთო სიახლენი იგრძნობა. უცხოელებიც დარწმუნდნენ საბჭოთა რეგბის სიძლიერეში, რაც იმედს გვასახავს, რომ მსოფლიო თასის მეორე გათამაშებაში ჩვენი ნაკრები უთუოდ მიიღებს მონაწილეობას.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

დუბლიორთა მატჩი

ბუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები. „დრუჟბა“ (მიიკოპი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 4:1, „ნარტი“ (ჩერკესკი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0, „ტორპედო“ (ტაგანროგი) — „ოლიმპია“ (ლენინაკანი) 2:0, „ლუჩი“ (აზოვი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 3:1, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 1:2, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ურალანი“ (ელისტა) 2:1, „სპარტაკი“ (ანაპა) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 0:0, „დინამო“ (სოხუმი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:0, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „ისკრა“ (ერევანი) 1:0.

II ლიგა

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები. „დრუჟბა“ (მიიკოპი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 4:1, „ნარტი“ (ჩერკესკი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0, „ტორპედო“ (ტაგანროგი) — „ოლიმპია“ (ლენინაკანი) 2:0, „ლუჩი“ (აზოვი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 3:1, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 1:2, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ურალანი“ (ელისტა) 2:1, „სპარტაკი“ (ანაპა) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 0:0, „დინამო“ (სოხუმი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:0, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „ისკრა“ (ერევანი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

III ზონა

	თ.	მ	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“	33	18	7	8	51–34	43
„სპარტ.“ ოქ.	32	18	4	10	72–37	40
„სპარ.“ ნჩ.	29	17	3	9	44–26	37
„ცემენტი“	29	15	7	7	37–27	37
„ლოკომ.“	33	16	4	13	44–45	36
„დრუჟბა“	32	15	6	11	50–32	36
„სპარტ.“ თმ.	31	16	3	12	42–42	35
„დინამო“	33	14	7	12	45–39	35
„მეტალ.“	31	13	7	11	50–30	33
„მერცხ.“	32	15	2	15	42–49	32
„კოლხეთი“	32	14	4	14	43–49	32
„ლორი“	31	14	4	13	40–47	32
„ლუჩი“	33	12	5	16	34–36	29
„მაშუკი“	31	10	9	12	33–34	29
„ურალანი“	32	11	4	17	47–47	26
„ისკრა“	33	11	4	18	36–61	26
„ნარტი“	32	10	6	16	37–48	26
„ვოლგარი“	32	11	3	18	33–45	25
„სპარტ.“ ან.	32	10	4	18	32–45	24
„ოლიმპია“	31	8	5	18	30–61	21

I ლიგა

23 სექტემბერს შედგა I ლიგ[illegible] ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 36-ე ტურის მატჩი, რომელიც კალენდრის მიხედვით 29 სექტემბერს უნდა გამართულიყო. ტაშკენტის „ფახთაქორმა“ თავის მინდორზე მიიღო ნიკოპოლის „კოლოსი“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0.

ფეხბურთელს მწვრთნელისა უნდა სჯეროდეს

წლების წინ, ჩვენი რესპუბლიკის პირველ საფეხბურთო კოლექტივს თბილისის „დინამოს“ შევსება სტუდენტთა გუნდებიდანაც მოსდიოდა. თბილისის უმაღლესი სასწავლებლებიდან ნოსული ფეხბურთელები წლების მანძილზე იცავდნენ თბილისის „დინამოს“ ღირსებას. მაგრამ რა ვითარებაა დღეს სტუდენტურ ფეხბურთში? ამის შესახებ ვთხოვეთ ეამბნა თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდის მწვრთნელს საზოგადოებრივ საწყისებზე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს ელგუჯა გუგუშვილს.

— დავიწყებ იმით, რომ ჩვენი ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდი მაშინ ჩავიბარე, როცა ამ უმაღლესი სასწავლებლის მეორე კურსის სტუდენტი გახლდით. ვიყავი პირველობაზე ორჯერ პირველი, ერთხელ მეორე და ორჯერ ნესამე ადგილი დავიკავეთ. ახლახან დამთავრებულ საკავშირო უნივერსიადაზე ვერცხლის მედლები დავისაკუთრეთ.

ალბათ, დამერწმუნებით, რომ უმაღლესი სასწავლებლისთვის, სადაც მხოლოდ ორი ფაკულტეტი არსებობს, ეს ურიგო შედეგი არ არის, რაც შეეხება იმას, თუ როგორ ვაწვდით ფეხბურთელებს მაღალი რანგის გუნდებს — ესეც მკაცრი კონტროლით ხდება. თუ მოთამაშე მზად არის ითამაშოს მაღალი ლიგის გუნდში, მას წინ არაფერი დუდგება. ჩვენ სიხარულით მივცემთ მას ამის უფლებას. სხვაგვარად, ჩემი აზრით, არც ერთი მწვრთნელის მუშაობას არა აქვს ბზრი და ფასი.

◎ ამ ბოლო დროს კი ბევრს ლაპარაკობენ ზოოვეტერინარული ინსტიტუტის საფეხბურთო ლაბორატორიის შესახებ. ხომ ვერ გვეტყვით, ხაერთოდ რას ნიშნავს ეს „საფეხბურთო ლაბორატორია“ და რა როლი ეკისრება მას თქვენს ინსტიტუტში?

—ჩვენი ინსტიტუტის საფეხბურთო ლაბორატორიის არსი შემდეგში მდგომარეობს: უკვე ათი წელია, რაც დედაქალაქისა და რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებიდან ვიღებთ პერსპექტიულ სპორტსმენთა შეკვეთას. ეს მოთამაშეები წვრთნას ინსტიტუტის პირველ გუნდთან ერთად გადიან და მონაწილეობენ თბილისის ჩემპიონატის პირველ ჯგუფში. სამი-ოთხი ასეთი ფეხბურთელი ემატება ყოველწლიურად ინსტიტუტს. ჩვენს ინსტიტუტში წლების განმავლობაში თამაშობდნენ კაკილაშვილი, ფრუიძე, კურტანიძე, ვასაძე, თოფურია, იაშვილი, ჭიაბრიშვილი, აგარონოვი, წიკლაური, რევიშვილი.

◎ გამოდის, რომ თქვენი ინსტიტუტის ფეხბურთელთა ნაკრებმა ორი წელიც რომ შეინარჩუნოს ერთი და იგივე შემადგენლობა, საქართველოს პირველობის I ჯგუფის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იქნება?

— ჩვენი ინსტიტუტის გუნდს მართლაც შეუძლია საქართველოს I ჯგუფში ისპარეზოს და წარმატებითაც, მაგრამ ამით უფრო მეტს მოიგებს ჩვენი ფეხბურთი? ამ შემთხვევაში უნდა გვებრძოლა ქულებისთვის, მოთამაშეთა გუნდში შენარჩუნებისთვის, ეს კი, კარგს არას მოიტანდა. ამ ბოლო წლების მანძილზე, თითებზეა ჩამოსათვლელი ფეხბურთელები, რომლებიც რესპუბლიკის ჩემპიონმა გუნდებმა მისცეს რესპუბლიკის მაღალი რანგის კოლექტივებს.

◎ თქვენი აზრით, დღეს როგორ დგას რესპუბლიკაში სტუდენტთა ფეხბურთის საქმე?

— ივლისში ვილნიუსში გაიმართა საკავშირო უნივერსიადა, სადაც ჩვენი რესპუბლიკის სახელს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდი იცავდა. ამ ასპარეზობაში ბზოლოდ მასპინძლებმა — ლატვიელმა ფეხბურთელებმა გვაჯობეს. მეორე ადგილი ასეთ პრესტიჟულ ასპარეზობაში, ცოტას არ ნიშნავს, მაგრამ უნივერსიადაზე ჩვენი გუნდის გარდა ყველა რესპუბლიკა ხაკრებით იყო წარმოდგენილი. მაგალითად, ლატვიის ნაკრები მთლიანად ვილნიუსის „ჟალგირისის“ მოთამაშეებით წარდგა ასპარეზობაზე, ე. ი. იმ გუნდით, რომელმაც ამას წინათ მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. „ჟალგირისს“ ამ პერიოდში საკავშირო პირველობის კალენდარული შეხვედრაც ჰქონდა დონეცკის „შახტიორთან“, ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით საკავშირო სპორტსახკომმა ეს მატჩი გადაიტანა და „ჟალგირისშა“ საკავშირო უნივერსიადაზე გააგრძელა ბრძოლა, ჩვენ კი ვერაფრით შევძელით სამი მოთამაშის წაყვანა, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის ფეხბურთის სამმართველომ არაერთხელ მიიწვია ისინი შეჯიბრებაზე გასაგზავრებლად.

◎ უკვე თხუთმეტი წელია ერთსა და იმავე გუნდში მუშაობთ მწვრთნელად. ხომ არ არის თქვენი გუნდის წარმატება დამოკიდებული იმაზე, რომ კოლექტივს ამ პერიოდში მწვრთნელი არ შეცვლია?

— გუნდის წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა, რა თქმა უნდა, ესეც არის. მთავარი მწვრთნელების გამუდმებით ცვლას ზიანის მეტი არაფრის შოტანა არ შეუძლია. როგორც ყველა ადამიანს, მწვრთნელსაც აქვს თავისი შეხედულება ამა თუ იმ ფეხბურთელზე, ზოგი მთელი ასი პროცენტით ენდობა მას, ზოგს კი მისი თამაში ორმოცდაათი პროცენტითაც არ აკმაყოფილებს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ თუ ფეხბურთელს უნდა რამეს მიაღწიოს, უნდა სჯეროდეს თავისი მწვრთნელისა და იმედით მიჰყვებოდეს მას.

ესაუბრა ზაზა კახაძე.

სხვადასხვანაირი გადაწყვეტილება

უკვე შვიდ ევროპულ ქვეყანაში მატჩის ოგებისათვის გამარჯვებულს 3 ქულა ეწერება. ეს ქვეყნებია: ინგლისი, ისლანდია, ირლანდია, თურქეთი, ნორვეგია, საფრანგეთი და უნგრეთი.

უნგრეთსა და იუგოსლავიაში მიმდინარე სეზონიდან მატჩი აღარ შეიძლება ფრედ დამთავრდეს — თანაბარი ანგარიშის შემთხვევაში 11-მეტრიანი დარტყმები ინიშნება. უნგრეთში გამარჯვებული 2 ქულას იღებს, დამარცხებული კი — 1 ქულას. იუგოსლავიაში სხვანაირი წესებია — აქ გამარჯვებული 1 ქულას იღებს, დამარცხებულს კი ნოლი ქულა ეწერება.

არ თმობენ

მას შემდეგ, რაც მაროკოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფასგან უარი მიიღო მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე, მან დაუყოვნებლივ შეიტანა ახალი განცხადება, ახლა მაროკოელებს მსოფლიოს 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება სურთ.

XXIV ოლიმპიური თამაშობანი სეული, 1988 წ.

ოლიმპიადის დღიური

ბანვარჯიში. საბჭოთა სპორტსმენებმა ფაქტიურად ოლიმპიადის ყველა მედლები დაისაკუთრეს. გამონაკლისი გახლდათ მხოლოდ ბჯენითი ხტომები, სადაც რვა ფინალისტს შორის ორ-ორი საბჭოთა და გდრ-ის წარმომადგენელი, თითო ჩინელი, სამხრეთ კორეელი, ბულგარელი და იაპონელი ტანმოვარჯიშე ასპარეზობდა. ნახევარჯამის მიხედვით საბჭოთა გუნდში უკეთესი შედეგები სერგეი ხარკოვსა და ვლადიმერ გოგოლაძეს აღმოაჩნდათ და ფინალურ ხტომებში მონაწილეობის უფლებაც სწორედ მათ მოიპოვეს. მაგრამ პრიზიორთა შორის ისინი ვერ მოხვდნენ: სერგეი ხარკოვმა მეექვსე ადგილი დაიკავა (19,600 ქულა), ვლადიმერ გოგოლაძემ კი მერვე (19,512 ქულა). ამ სახეობაში ადგილები ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა: 1. ლოუ იუნი (ჩინეთი) — 19,875 ქულა, 2. ხილვიო კროლი (გდრ) — 19,862 ქულა, 3. პაკ ჩუნ ხუნი (სამხრეთ კორეა) — 19,775 ქულა.

მესტენდუარობა (მრგვალი სტენდი). პირველ ექვსეულში ვერც ერთი საბჭოთა მსროლელი ვერ მოხვდა. აქ ჩემპიონის ოქროს მედალი გდრ-ის წარმომადგენელმა აქსელ ვეგნერმა დაისაკუთრა — 22 სამიზნე. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ, აგრეთვე, ალფონსო დე ირუარისაგო (ჩილე) — 221 სამიზნე და ხორხე გუარდიოლა (ესპანეთი) — 220 სამიზნე.

ველოსპორტი. გამოვლინდნენ სპრინტერთა შეჯიბრების ფინალისტები. ვაჟთა შორის ოქროს მედალს მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ლუც ჰესლიჰი (გდრ) და ნიკოლოზ კოვში (სსრ კავშირი) გაითამაშებენ, ქალებში ოლიმპიური ჩემპიონის სახელისათვის იბრძოლებენ ერიკა სალუმიაე (სსრ კავშირი) და კრისტა როტენბურგერი (გდრ). გამოდევნებით 4 კილომეტრზე რბოლის საკვალიფიკაციო სერიაში საბჭოთა სპორტსმენებმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა, დიმიტრი ნელიუბინმა, არტურას კასპუტისმა და გინტაუტას უმარასმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს (ღია ტრეკზე) — 4.16,00.

აზროსნობა. სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებმა, რომლებიც პუსანში ასპარეზობენ, „ეკვატორი“ უკეთ გადალახეს. 4-4 რბოლის შემდეგ საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსებს ინარჩუნებენ „470“-ში ლარისა მოსკალენკო და ტინუ ტინისტე, „ფინის“ კლასში — ოლეგ ხოპერსკი და „ტორნადოში“ იური კონოვალენკოს ეკიპაჟი. ოლიმპიურ რეგატაში სუსტად გამოვიდნენ და უმაღლესი ტიტულებისთვის ბრძოლას, ფაქტიურად, გამოეთიშნენ ჩვენი ნავები — „სოლინგში“ (გიორგი შაიდუკო), „ვარსკვლავისა“ (ვიქტორ სოლოვიოვი) და „მფრინავი ჰოლანდიელის“ (სერგეი ბოროდინოვი) კლასებში.

კალათბურთი (ვაჟები). ესპანეთი — კანადა 94:84 (45:51), ბრაზილია — ეგვიპტე 138:85 (66:38), პუერტო-რიკო — ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა 71:67 (37:41), აშშ — ჩინეთი 108:57 (59:26), სსრ კავშირი — სამხრეთ კორეა 110:73 (59:38), იუგოსლავია — ავსტრალია 98:78 (52:43).

წყალბურთი. აშშ — ჩინეთი 14:7, იტალია — ავსტრალია 7:5, ესპანეთი — უნგრეთი 6:6, გფრ — სამხრეთ კორეა 18:2, იუგოსლავია — საბერძნეთი 17:7.

ხელბურთი (ქალები). სსრ კავშირი — კოტ დიუვარი 32:11, ჩეხოსლოვაკია — აშშ 33:19, ჩინეთი — ნორვეგია 22:20, იუგოსლავია — სამხრეთ კორეა 22:19.

ფრენბურთი (ქალები). პერუ — ჩინეთი 3:2, აშშ — ბრაზილია 3:2, სსრ კავშირი — სამხრეთ კორეა 3:0, გდრ — იაპონია 3:2.

ჩემპიონები

ალექსანდრე კარელინი (კლასიკური ჭიდაობა)

აფანასი კუზმინი (პისტოლეტიდან ჩქაროსნული სროლა)

ხაკდეს-საქინფორმის ფოტოები.

ოლიმპიადის ტაბლო

23 სექტემბერი

ფარიკაობა. ხმალი. ვაჟები. პირადი პირველობა. 1. ჟან ფრანსუა ლიამური (საფრანგეთი); 2. იანოშ ოლეხი (პოლონეთი); 3. ჯოვანი სკალეცო (იტალია); ...6. გიორგი პოღოსოვი (სსრკ).

ცურვა. 100 მ, ბატერფლაი, ქალები. 1. კრისტინ ოტო (გდრ) — 59,00 წმ; 2. ბირტი ვოიგანგი (გდრ) — 59,45; 3. ხუნ ცზიანი (ჩინეთი) — 59,52. **100 მ, ბრასი. ქალები.** 1. ტანია დანგალაკოვა (ბულგარეთი) — 1.07,95; 2. ანტოანეტა ფრენკევა (ბულგარეთი) — 1.08,74; 3. ზილკე ჰერნერი (გდრ) — 1.08,83; ...5. ელენა ვოლკოვა (სსრკ) — 1.09,24 **200 მ, ბრასი. ვაჟები.** 1. იოკეფ საბო (უნგრეთი) — 2.13,52; 2. ნიკ ჯილინჰეიმი (დიდი ბრიტანეთი) — 2.14,12; 3. სერხიო ლოპესი (ესპანეთი) — 2.15,21; ...5. ვალერი ლოზოკი (სსრკ) — 2.16,16; 6. ვადიმ ალექსეევი (სსრკ) — 2.16,70. **ესტაფეტა 4X100 მ, თავისუფალი სტილი. ვაჟები.** 1. აშშ — 3.16,53; 2. სსრკ — 3.18,33; 3. გდრ — 3.19,82. **400 მ, თავისუფალი სტილი. ვაჟები.** 1. უვე დასლერი (გდრ) — 3.46,95; 2. დუნკან არმსტრონგი (ავსტრალია) — 3.47,15; 3. არტურ ვოიდატი (პოლონეთი) — 3.47,34.

24 სექტემბერი.

ზიდვითნობა. შვიდჭიდი. ქალები. 1. ჯეკი ჯონერკერსი (აშშ) — 7291 ქ; 2. საბინე იონი — 6897; 3. ანკე ბემერი (ორივე —

ის. მე-4 გვ.

XXIV ოლიმპიური თამაშები სეული, 1988 წელი

ოლიმპიადის ტაბლო

(დასასრული)

გდრ) — 6858; 4. ნატალია შუბენკოვა — 6540; 5. რემიგია საბლოვსკაიტე (ორივე — სსრკ) — 6456. **სამხტომი.** 1. ხრისტო მარკოვი (ბულგარეთი) — 17,61; 2. იგორ ლაპშინი (სსრკ) — 17,52; 3. ალექსანდრე კოვალენკო (სსრკ) — 17,42; 4. ოლეგ პროკენკო (სსრკ) — 17,38.

ტყვიის სროლა. პნევმატური პისტოლეტი, 60+10 გასროლა, ვაუები. 1. ტანიო კირიაკოვი (ბულგარეთი) — 687,9 ქ; 2. ერიხ ბიუჯანგი (აშშ) — 687,9, 3. სიუ ხაიფენი (ჩინეთი) — 684,5; ....5. იგორ ბასინსკი (სსრკ) — 683,2.

აკადემიური ნიჩბოსნობა. ოთხადგილიანი გასაშლელი მესაჭით. ქალები. 1. გდრ — 6.56,00; 2. ჩინეთი — 6.58,78; 3. რუმინეთი — 7.01,13. **ორადგილიანი გასაშლელი უმესაჭეოდ. ქალები.** 1. როდი არბა — ოლგა ხომეგი (რუმინეთი) — 7.28,13; 2. რადკა სტოიანოვა — ლიალკა ბერბეროვა (ბულგარეთი) — 7.31,95; 3. ნიკოლა პეინი — ლინლი ჰენენი (ახალი ზელანდია) — 7.35,68; ...5. სარმიტე სტონე — მარინა სმოროდინა (სსრკ) — 7.53;19. **ორადგილიანი წყვილები. ქალები.** 1. ბირგიტ პეტერი — მარტინა შრეტერი (გდრ) — 7.00,48; 2. ელიზაბეტა ლიპა — ვერონიკა კოგეანუ (რუმინეთი) — 7.04,36; 3. ვიოლეტა ნინოვა — სტეფკა მადინა (ბულგარეთი) — 7.06,03; 4. მარინა ჟუკოვა — მარია ომელიანჩიკი (სსრკ) — 7.12,67. **ოთხადგილიანი გასაშლელი მესაჭით. ვაუები.** 1. გდრ — 6.10,74; 2. რუმინეთი — 6.13,58; 3. ახალი ზელანდია — 6.15,78. **ორადგილიანი გასაშლელი უმესაჭეოდ. ვაუები.** 1. ენდრიუ ჰოლმსი — სტივენ რედგრეივი (დიდი ბრიტანეთი) — 6.36,84; 2. დრაგოშ ნიაგუ — დანუტ დობრე (რუმინეთი) — 6.38,06; 3. ბოიან პრეზერნი — სადიკ მუჟკიჩი (იუგოსლავია) — 6.41,01; ...6. სსრკ — 6.51,11. **ორადგილიანი წყვილები. ვაუები.** 1. რომალდ ფლორინი — ნიკოლას პინკსი (ჰოლანდია) — 6.21,13; 2. ბეტ შვერცმანი — ველი ბოდენმანი (შვეიცარია) — 6.22,59; 3. ალექსანდრე მარჩენკო — ვასილი იაკუშა (სსრკ) — 6.22,87. **ერთეულები. ვაუები.** 1. ტომას ლანგე (გდრ) — 6.49,86; 2. პირეტმიჰელ კოლბე (გფრ) — 6.54.77; 3. ერიკ ვერდონკი (ახალი ზელანდია) — 6.58,66.

სპორტული ტანვარჯიში. მრავალჭიდი. ქალები. 1. ელენა შუშუნოვა (სსრკ) — 79,662 ქ; 2. დანიელა სილივაში (რუმინეთი) — 79,637; 3. სვეტლანა ბოგინსკაია (სსრკ) — 79,400; ...5. ნატალია ლაშჩენოვა (სსრკ) — 78,875. **ცალკეულ იარაღებზე პირველობა. ვაუები. ტაიჭი.** 1. დიმიტრი ბილოზერჩევი (სსრკ) — 19,950 ქ; ზოლტ ბორკაი (უნგრეთი) — 19,950; ლიუბომირ გერასკოვი (ბულგარეთი) — 19,950; ...5. ვალერი ლიუკინი (სსრკ) — 19,875. **რგოლები.** 1. დიმიტრი ბილოზერჩევი (სსრკ) — 19,925 ქ. ჰოლგერ ბერენდტი (გდრ) — 19,925; 3. სვენ ტიპელტი (გდრ) — 19,875; 4. ...ვალერი ლიუკინი (სსრკ) — 19,825. **თავისუფალი ვარჯიში.** 1. სერგეი ხარკოვი (სსრკ) — 19,925 ქ; 2. ვლადიმერ არტიომოვი (სსრკ) — 19,900; 3. ლოუ იუნი (ჩინეთი) — 19,800; იუკიო იკეტანი (იაპონია) — 19,800. **ორძელი.** 1. ვლადიმირ არტიომოვი (სსრკ)— 19,925 ქ; 2. ვალერი ლიუკინი (სსრკ) — 19,900; 3. სვენ ტიპელტი (გდრ) — 19,750. **ღერძი.** 1. ვლადიმირ არტიომოვი (სსრკ) — 19,900 ქ; ვალერი ლიუკინი (სსრკ) — 19,900; 3. სვენ ტიპელტი (გდრ) — 19,800; მარიუს გერმანი (რუმინეთი) — 19,800. **ბჯენითი ხტომები.** 1. ლოუ იუნი (ჩინეთი) — 19,875 ქ; 2. სილვიო კროლი (გდრ) — 19,862; 3. პაკ ჩუნ ხუნი (ს. კორეა) — 19,775; ...6. სერგეი ხარკოვი (სსრკ) — 19,600.

ველოსპორტი. სპრინტი. ქალები. 1. ერიკა სალუმიაე (სსრკ); 2. კრისტა როტენბურგერი (გდრ); 3. კონი პარასკევინი (აშშ). **სპრინტი. ვაუები.** 1. ლუტც ჰესლიჰი (გდრ); 2. ნიკოლაი კოვში (სსრკ); 3. გერი ნიუმენი (ავსტრალია).

სსრკ კავშირისა და აშშ-ის ფეხბურთელთა ოლიმპიური გუნდების მატჩის ეპიზოდი.

საკლეს-საქინფორმის ფოტო.

მედლები

სეულის ოლიმპიადაზე დღეისთვის მედლების 64 კომპლექტი გათამაშდა, რომლებიც ასე განაწილდა:

	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო
სსრკ	16	4	13
გდრ	9	10	9
აშშ	6	5	4
ბულგარეთი	5	6	3
უნგრეთი	5	3	2
გფრ	3	3	4
ინგლისი	2	4	3
იტალია	2	2	3
ჩეხოსლოვაკია	2	1	0
იუგოსლავია	2	0	1
ნორვეგია	2	0	0
ჩინეთი	1	5	5
ავსტრალია	1	4	0
ს. კორეა	1	3	3
პოლონეთი	1	3	2
რუმინეთი	1	3	0
საფრანგეთი	1	1	2
ახალი ზელანდია	1	0	2
პორტუგალია	1	0	0
სურინამი	1	0	0
თურქეთი	1	0	0
შვეცია	0	2	2
იაპონია	0	2	1
ფინეთი	0	1	1
ჰოლანდია	0	1	0
კოსტა-რიკა	0	1	0
ბელგია	0	0	1
საბერძნეთი	0	0	1
ესპანეთი	0	0	1
შვეიცარია	0	0	1

ᲓᲦᲔ, 25 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ...

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐᲖᲔ:

შეჯიბრებებს აგრძელებენ კალათბურთელები, მოკრივეები, ფრენბურთელები, ხელბურთელები, ცხენოსნები, მძლეოსნები, მაგიდის ჩოგბურთელები, აფროსნები, წყალში მხტომელები, ჩოგბურთელები, ძალოსნები, ფეხბურთელები, ჰოკეისტები.

ასპარეზობაში ჩაებმებიან ძიუდოისტები.

ოლიმპიური მედლები გათამაშდება შემდეგ სახეობებში:

მძლეოსნობა. ქალები. 100 მ. 3000 მ. **ვაუები.** შუბის ტყორცნა. სიმაღლეზე ხტომა. რბენა 400 მ-ზე წინაღობებით.

ცხენოსნობა. ცხენის გაწვრთნის უმაღლესი კლასი. გუნდური პირველობა.

წყალში ხტომა. ქალები. ტრამპლინი.

აკადემიური ნიჩბოსნობა. ქალები. ოთხადგილიანი წყვილები უმესაჭოდ. რვაადგილიანი. ერთეულები. **ვაუები.** ორადგილიანი გასაშლელი მესაჭით. ოთხადგილიანი გასაშლელი უმესაჭეოდ. ოთხადგილიანი წყვილები უმესაჭეოდ. რვაადგილიანი.

ცურვა. ქალები. 200 მ, ბატერფლაი. 50 მ, თავისუფალი სტილით. 200 მ, გულაღმა. **ვაუები.** 200 მ, კომპლექსური ცურვა. 1500 მ, თავისუფალი სტილით. 4X100 მ, კომბინირებული ესტაფეტა.

სპორტული ტანვარჯიში. ქალები. ცალკეულ იარაღებზე პირველობა.

ძალოსნობა. 90 კგ.

ძიუდო. 60 კგ.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ:

10.55-13.20. მძლეოსნობა, აკადემიური ნიჩბოსნობა (2).

12.55-17.00. სპორტული ტანვარჯიში, მძლეოსნობა (1).

18.00-19.00 წყალში ხტომა (2).

20.00-22.00. ცხენოსნობა, ცურვა, ძიუდო (1).

22.40-03.00. ძალოსნობა, ცურვა, ძიუდო, ოლიმპიადის დიიური, ფეხბურთელთა ტურნირის მეოთხედფინალი (1).

ᲮᲕᲐᲚ, 26 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ...

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐᲖᲔ:

შეჯიბრებებს აგრძელებენ კალათბურთელები, მოკრივეები, წყალბურთელები, ფრენბურთელები, ხელბურთელები, ძიუდოისტები, ცხენოსნები, მძლეოსნები, მაგიდის ჩოგბურთელები, წყალში მხტომელები, ჩოგბურთელები, ძალოსნები, მოფარიკაველები, ჰოკეისტები.

ასპარეზობაში ჩაებმებიან ველოსიპედისტები (საგზატკეცილო), ნიჩბოსნები (ბაიდარები და კანოე), სინქრონული მოცურავეები.

ოლიმპიური მედლები გათამაშდება შემდეგ სახეობებში:

მძლეოსნობა, ქალები. 800 მ. შუბის ტყორცნა. 400 მ. **ვაუები.** ეროს ტყორცნა. 800 მ. სიგრძეზე ხტომა. რბენა 110 მ-ზე წინაღობებით. 10 000 მ.

ველოსპორტი. ქალები. ინდივიდუალური საგზატკეცილო რბოლა.

აფროსნობა. ფინალური რბოლები. ქალები. კლასი „470“. **ვაუები.** კლასები „სოლინგი“, „ვარსკვლავი“, „ტორნადო“, „მფრინავი ჰოლანდიელი“, „ფინი“, „ვინდგლაიდერი“, „470“.

ძალოსნობა. 100 კგ.

ძიუდო. 65 კგ.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ:

13.05-14.40. ველოსპორტი (2).
15.10-18.30. მძლეოსნობა (1).
19.45-22.00. ძიუდო, კრივი (2).
22.50. ძიუდო, ძალოსნობა (1).

„ᲡᲞᲝᲠᲢᲐᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ“

38-Ე ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

(17 სექტემბერი)

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 38-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 17 სექტემბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.732.962 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (1) მოგება 10.000 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (24) — 4.666 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (628) — 697 მანეთი....

38-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 8 ოქტომბრიდან 8 ნოემბრის ჩათვლით.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲐᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ“, ᲛᲔ-40 ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (1-3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ)

სსრკ კავშირის თასი ფეხბურთში, მერვეფინალის განმეორებითი მატჩები			**პროგნოზი**	
1. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „კაირატი“ (ალმა-ათა)	1.X	50	30	20
სსრკ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)				
2. ახკ (ლენინგრადი) — „სოკოლი“ (კიევი)	2.X	60	20	20
3. „დინამო“ (რიგა) — „დინამო“ (ხარკოვი)	2.X	80	10	10
4. „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	2.X	30	50	20
5. „ტრაქტორი“ (ჩელიაბინსკი) — „ავტომობილისტი“ (სვერდლოვსკი)	2.X	30	20	50
6. „დინამო“ (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი)	3.X	50	20	30
7. „დინამო“ (მინსკი) — „ტორპედო“ (გორკი)	3.X	20	30	50
სსრკ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (პირველი ლიგა)				
8. „იუორეკი“ (ლენინგრადი) — „ურიცკის სახ. სპორტკლუბი (ყაზანი)	2.X	30	30	40
9. „კრისტალი“ (სარატოვი) — „იუსტალი“ (იეევსკი)	2.X	30	40	30
10. „მოლოტი“ (პერმი) — ახკ (ნოვოსიბირსკი)	2.X	30	30	40
11. ახკ (სვერდლოვსკი) — „მეტალურგი“ (ნოვოკუზნეცკი)	2.X	60	20	20
12. „სიბირი“ (ნოვოსიბირსკი) — „ავტომობილისტი“ (ყარაგანდა)	2.X	70	10	20
სსრკ კავშირის თასი ფეხბურთში, მერვეფინალის განმეორებითი მატჩები				
13. „დინამო“ (თბილისი) — ახკ „კარპატი“ (ლვოვი)	3X	50	30	20

შენიშვნა: სსრკ კავშირის თასის მერვეფინალურ მატჩებში მხედველობაში მიიღება ძირითადი დროის შედეგი.

ᲛᲘᲠᲘᲓᲒᲐᲜ ᲙᲘᲠᲘᲐᲛᲓᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 21 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. „მათ ვერ ხედავენ არენაზე“. XXIV ოლიმპიადის სპორტულ სარბიელებზე და მათ მიღმა. გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის მიმოხილვა.

„ᲡᲝᲕᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ“ — 18 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. „რა მოხდა ტურინში?“ რატომ ითამაშა თავის სადებიუტო მატჩში ალექსანდრე ზავაროვმა მხოლოდ 20 წუთი?

21 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. „საჭიროა გენერალური კონსტრუქტორი“. ინტერვიუ ლენინის პრემიის ლაურეატ, აკადემიკოს ბორის რაუშენბახთან.

21 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. „ოქროს წლისთავი“ და არითმეტიკის საიდუმლოებანი“. XXIV ოლიმპიადის ინფორმაციის კომპიუტერული სისტემა პასუხს გაგცემთ ყველა შეკითხვაზე, გარდა ერთისა — რამდენი ჟურნალისტი აშუქებს თამაშებს?

24 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. „გასროლა შუაღამეს“. რუსეთის ბევრ ქალაქში ახალი ძალით იფეთქა ქუჩურმა ჩხუბებმა.

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲗᲛᲝᲒᲡ

ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში მიმდინარე ვაჟთა საერთაშორისო საპადრაკო ტურნირში 12 ტურის შემდეგ 9 ქულით შეჯიბრებას სათავეში უდგას მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი. მას ქულით ჩამორჩება ინგლისელი ნაიჯელ შორტი.

რედაქტორის მოადგილე
უ. ᲯᲘᲯᲘᲜᲐᲫᲔ.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲧᲐᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲚᲓ!

ვისაც სურს დაესწროს მსოფლიო პირველობის მატჩის ერთ-ერთ პარტიას ჭადრაკში მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო თბილისელებს სთავაზობს ჯგუფურ (30 კაცი) ერთ და ორდღიან ექსკურსიებს ავტობუსით შემდეგი მარშრუტებით: თელავი — წინანდალი — შუამთა; თელავი — წინანდალი — ალავერდი; თელავი — იყალთო.

ჭადრაკის მოყვარულნი გარანტირებულ იქნებიან მატჩზე დასასწრები ბილეთით, რომლის შეძენაც შეგეძლებათ თელავის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროში. ბილეთის ღირებულებაა 1 მან. 50 კაპ.

ორდღიანი ექსკურსიის დროს ჯგუფური საგზურის ღირებულებაში გათვალისწინებულია კვება და ღამის თევა თელავის სასტუმროში ან ტურბაზაში.

მატჩის პარტიები იმართება სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით . გადადებული პარტიების დამთავრება კი ოთხშაბათობით, პარასკევობით და კვირაობით. პარტიების დაწყების დროა 16 საათი.

ექსკურსანტები, მატჩზე დასწრების გარდა, გაეცნობიან კახეთის ღირსშესანიშნავ ადგილებს და ისტორიულ ძეგლებს.

ჯგუფური საგზურის შეძენა შეგიძლიათ როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით. მსურველები დაწვრილებით ცნობებს მიიღებენ საექსკურსიო განყოფილებაში.

ჩვენი მისამართია: მეტეხის აღმართი, № 4, ტელეფონი — 74-27-50.

პროპაგანდისა და რეკლამის განყოფილება.

საქართველოს სპორტსახკომი, ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა საერთაშორისო დიდოსტატი საპადრაკო კომპოზიციაში

იოსებ მიხეილის ძე კრიხელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380006, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-52, „მერანი“ — 93-97-26, „მარიკა“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380028, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდავს იუსტატური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10854